

# საქართველო

თბილისი, 26 ივლისი 2001 №139 (1412)

საერთო უცხოეთი

საბჭოთაბატი 26 ივლისი 2001 №139 (1412)

ფასი 50 თეთრი

## ქოფს ქუთაისიდან კოპენჰაგენს ჩაუტანენ



მიხეილ აშვეთიამ ისე ითამაშა, თავი შინაურებსაც მოაწონა და სტუმრებსაც. ეს გოლიც მასზე ალბალი იყო

უეჭველად გაიტანდა, კოჭებში ეტყობოდა, რომ გაიტანდა. თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად და ნებისმიერი პოზიციიდან ურტყამდა. ისევე ყველაფერი კარგად აგისდეთ...

„ტორპედო“ — „კოპენჰაგენის“ მატჩის 44-ე წუთზე დანიელთა უდავოდ ნიჭიერმა 1-ამხრეთაფრიკელმა ლეგიონერმა სიბუსისო ზუმამ შორეული მოხდენილი დარტყმით ქუთაისელთა კარის ბაღე შეარხია.

თუ სამართალია, მიხეილ აშვეთიასაც უნდა გაეტანა, მთელი შეხვედრის მანძილზე დანიელთა კარზე დაგეშილი მოსვენებას რომ არ აძლევდა სტუმართა დაცვას. ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში შეეძლო თავისიანების დანიშნაობა, მაგრამ კილსტეტმა არ გაატანინა, თუმცა 76-ე წუთზე ბედმა „ტორპედოს“ და აშვეთიას მონყალე თვალით

გადახედა — კიმ მადსენის საკუთარი კარისკენ თავით გაგზავნილ ბურთს იქ დაუხვდა, საიდანაც გოლის გატანა იოლია. 1:1 და „კოპენჰაგენის“ შვედი მწვრთნელის, კენტ კარლსონის ნანატრი ფრე, რომელიც საპასუხო მატჩის წინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე რომის „ლაციოსთან“ შესახვედრად მეტ შანსს დანიურ კლუბს უტოვებს. რომაელები კი თადარიგს აქედანვე იჭერენ და ქუთაისში თავიანთი მზირი ფრანკო ნანიც გამოგზავნეს. ნამატჩევს სინიორ ნანიმ სავარაუდო მეტოქეებზე ეს თქვა: „ტორპედო“ ტაქტიკურად მოიკოჭლებს, „კოპენჰაგენი“ კი გამოცდილი გუნდია. აქედან რა გამოდის? ის, რომ დინო ძოფი თავის შეგირდებს დანიელებზე დაგეშავს. ერთი კვირაც მოვიცადოთ...

## ძიუდოსტთა ოქროსი მკლეოსნის ბრინჯაო გაეოპრია

არცერთი დღე უოქროოდ — საქართველოს დელეგაცია მკაცრად იცავს ამ პრინციპს და გუშინ ესპანეთის ქალაქ მურსიაში კიდევ ერთხელ აუღერდა ჩვენი ქვეყნის პიში. ძიუდოსტი მინდია ხომიზური (60 კგ) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების ჩემპიონი გახდა. ეს საქართველოს ნაკრების მეოთხე ოქროა. წინა სამი მედალიც ძიუდოსტებმა მოიპოვეს.

ძიუდოსტებს მედლით, ოლონდ ბრინჯაოსით, აუბა მხარი ბირთვის მკერდელმა ზურაბ გიგაიამ. ფინალში მისი შედეგი 18,73 მეტრი იყო, რამაც მესამე ადგილი მოუტანა. არადა, გიგაიას საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგი რომ გაემეორებინა (18,85 მ.), მეორე პრიზიორი გახდებოდა. ქართველი ჩოგბურთელებისთვის მეოთ-

ხედფინალები ცუდად წარიმართა. ნანა უროტაძემ 1:6, 1:6 წააგო იტალიელთან, ხოლო ლადო ჩიხლაძემ 1:6, 0:6 — ესპანელთან. ვერც შერეულ წყვილებში ივარგეს ჩვენებმა: უროტაძე-ჩიხლაძის დუეტმა ნახევარფინალში 2:6, 1:6 დათმო ჩეხებთან. გუშინვე საბოლოოდ დადგინდა, რომ ნახევარფინალებში წაგებული წყვილები ერთმანეთში მესამე ადგილს გაითამაშებენ. დღეს ქართული დუეტი ბრინჯაოსთვის იტალიელებს შეხვედება.

უმედლოდ დარჩა ძიუდოსტი აჩიკო შათირიშვილი (66 კგ), იგი მეორე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას.

გუშინდელი დღის მერე მოპოვებული მედლების ხარისხის მიხედვით საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზეა. მასზე წინ რუსეთი და დიდი ბრიტანეთი არიან.

აბაზ ზარიძე მურსიიდან



იან ტორობი

## წყალი ტორკს სოლივით ერთგულრბს ოქროს მედლებს პარტო მას უნებს

მივედი, ვნახე, გავიმარჯვე — თქვა იულიუს კეისარმა მოგებული ბრძოლის შემდეგ. აუზში ჩავხტი, ჩემპიონი გავხდი, მსოფლიოს რეკორდი დავამყარე — უკვე მერამდენედ შეუძლია თქვას ტორპედოლ ნოდებულმა 18 წლის ავსტრალიელმა მოცურავემ იან ტორშმა, რომელმაც გუშინ იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა და მესამე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

REUTERS ფოტოკადანი

გამოსაბ დარჩენი ქუთაისიდან

# ჩემპიონთა ლიგა

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი, პირველი მატჩები

## მორავი 1:1 კოპენჰაგენი

მუნიციპალიტეტი „მორავი“ მინერვები 13 000, 25 ივლისი, 21 საათი

მ: ზუმა (44), მ: აშვეია (76)

**მორავი:** გვარამაძე, დიდავა, აბრამიძე, მახვილაძე (ქუთათელაძე 84), თოდუა, ცეცხლიძე, პარამონოვი (ბაბუნაშვილი 49), რ. აბალკაძე (გ. შერგელია 49), ასათიანი, იონანიძე, აშვეია  
სათადარიგო: სტურუაძე, ქელიძე, გონიშვილი, გვირგვინი, მანუჩიანი, მანუჩიანი, მანუჩიანი

**კოპენჰაგენი:** კოსტატი, რიტერი, მადსენი, ლაუსენი, იენსენი, პოულსენი, ლონსტრუმი, ნილსენი, ტორინგერი (კრისტინსონი 67), როლი, ზუმა (ბისგარდი 75)  
სათადარიგო: პედერსენი, სემსონი, ტორი, პრედგარდი, ფრანსენი, მანუჩიანი, მანუჩიანი

ბათონი: დიდავა (86)

მსაჯე: ფ. დე ბლეკერი; მ. ბუტალი, რ. ლეპორი; კ. ვერმერსი (ველა ბელგია)

შედეგი: 1:1 (მორავი)

ჯარიმა: 19-23; კუთხური: 6-2; კარში დარტყმა: 3-4; კარისკენ დარტყმა: 2-5; თამაშდარე: 9-3

ანდერლექტი (ბრიუსელი, ბელგია) 4:0 შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა)  
მ: კრასონი (19), 2:0, 3:0 დე ბუვი (43, 69), 4:0 კრასონი (80)  
შერიფი: ბოკარიოვი, ოდი, მანჩინი, ბუკელი, ხარკოვიჩი, კომლიონი, ბარიშვი, ბორვი, იაკოვი (ბუგნიჩი 46), ბარბუროვი (მატიულა 51), დედუ (ნესტეროვი 80)

სტარბურგი (დონეცკი, უკრაინა) 3:0 ლუბინი (შვეიცარია)  
მ: ბახარევი (21), 2:0 ტიმიშოვი (59) 3:0 ფორბეი (66)

შერინგენი (ბელგია) 0:0 კაილანი (სლოვაკია)  
მ: კაილანი (24), მ: იონანი (33), მ: სელაკოვიჩი (55)

მონაკო (ნიცოზია, კვიპროსი) 1:0 ცრენსი (ბელგია)  
მ: პინიოლი (26), მ: ტიბოტი (70)

ლესეპი (სოფია, ბულგარეთი) 0:0 ბრანსი (ბერგენი, ნორვეგია)  
მ: ბრანსი (17), 2:0 სუათი (88)

პორტო (პორტუგალია) 8:0 ბარი (თაშენი, უელსი)  
მ: ბენი (12), 2:0, 3:0 დევი (22, 23) 4:0 სოფერსტრომი (42), 5:0 დევი (44), 6:0, 7:0, 8:0 ბენი (53, 54, 73)

სტივანი (ბუქარესტი, რუმინეთი) 3:0 სლოვა (სკოპიე, მაკედონია)  
მ: კალინი (4), 2:0 რადუჩანო (18) 3:0 ტრიკა (78)

სპორტინგ (რიგა, ლატვია) 1:2 ვინსლი (კრაკოვი, პოლონეთი)  
მ: გლოვაცი (49), მ: კორბალინი (78) 1:2 ფურასტი (79)  
სკოპიე: მიველი, ზარეშკი, ზემლინი, პლაგინი, რამიშვილი, ბუტკოვი, ვრბა-კოვსკი, კოლუნიჩი, ტრეშკინი (ლოპანოვი 77), მანუჩიანი (კორბალინი 72), ჩერნიცი (მიხილაძე 63)

სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 0:1 ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)  
მ: კუზო (43)

მარბორი (სლოვენია) 0:3 ბლანკი (რეინსი, შვეიცარია)  
მ: ფლი (39), 0:2 ნერლინგერი (56), 0:3 ფლი (74)



გალატისკარი — ვლადი. ჰასან შაჰის შეჩერება ილბანელის უჭირდათ



გენტი — პეტ. უგოლო მატჩში ბრძოლა გულიანი იყო



ანდერლექტი — შერიფი. ბელგელი არაუნ დინდანე შერიფელ ჩიდი ოდიას გადაახტა

**რეკლამა**  
სარბიელ-ში  
Tel: 39 40 08,  
93 16 08;  
Fax: 94 33 80

**ავსტრია**  
III ტური  
ბრანსი 0:3 რიდი  
ბრანსი 3:0 ადმირა ვაჰერი  
ავსტრია 0:1 სლოვაკია  
მ: კორსოვი (65), მ: დებორე (74)  
შტურმი: სიდორჩუკი, ნიკოლიჩი, რობსი, ფრანკი, რაიხლინგერი, ფასტი, კოროსი, ველნი, ფელდჰაფერი, ფლურკინი, პასი, მანუჩიანი მანუჩიანი მანუჩიანი

**სერბეთი**  
თასის მარაველინალი  
გოლი გოლინი 13 ვიკინი  
ბრანი 3:2 გოლინი  
კოლი მ: ლე ბრანსი  
ლილესტრიში 5:1 სტრიოგოვსკი  
სონგალი 2:1 სტარტი  
ტროსნი 2:0 სტარტი  
გოლინი 2:0 გოლინი

**ქაზახეთი**  
მარბორი 8:4 ვინსლი  
სარბიელ 2:3 რიდი

**ინტერტოტოს თასი 2001**  
ნახევარფინალური ეტაპი. პირველი ეტაპი

მიუნხენი 1:0 (გერმანია) 2:3 ნიუკასლი (ინგლისი)  
მ: 0:2 სოლანი (10, 55), მ: აგოსტინი (56), 2:2 ტაბალინი (66), 2:3 პოუნი (82)  
ბარსელო (შვეიცარია) 3:1 ლუბინი (შვეიცარია)  
მ: 2:0 ხიმენსი (19, 22), 3:0 პაკანი (46)  
ტრუა (საფრანგეთი) 1:0 ვოლფსბურგი (გერმანია)  
მ: გუბე (20)

გლზანი (ჩეხეთი) 1:2 ბრანსი (იტალია)  
მ: დელ ნერი (58), 0:2 ფილიპინი (82), მ: ლიბლი (90)  
ბანტი (ბელგია) 0:1 ბარი სან შერინგენი (საფრანგეთი)  
რანი (საფრანგეთი) 2:1 ასტონ ვილა (ინგლისი)  
მ: ლუკა (20), 2:0 შაბუსი (77), 2:1 ვესელი (89)

REUTERS პარიზიდან

REUTERS ბერლინიდან





შეკრებიდან შინ, ამსტერდამში დაბრუნდა შოთა არველაძის „აიაქსი“. წინა კვირას ჩვენებურის აგენტის, ივან ბენეშის მცირე ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ აიაქსელი ქართველი ინგლისური „ასტონ ვილა“ და გერმანული „დორტმენდი“ არიან დაინტერესებულნი. გუშინ კი თავად შოთას შევეხმიანეთ.

# გაიდავ ნოზარი შოთას შესრულებით

— აბრე, პრემიერლიგაში ან ბუნდესლიგაში მოსინჯო ძალა?

— ახალს ვერაფერს გეტყვით. ბენეში ამის შესახებ კი მეღაპარაკა, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

— „აიაქსის“ ხელმძღვანელობასთან ამის თაობაზე არ გისაუბრია?

— არა, რადგან ჯერ მე თვითონ არ გადამიწყვეტია „აიაქსიდან“ წასვლა.

— გირჩენია „აიაქსში“ დარჩე?

— მართლაც მინდა „აიაქსში“ დარჩენა, მაგრამ ვნახოთ, ცოტაც მოვიცადოთ, ასე, ათ დღეში, საბოლოოდ გაირკვევა ყოველივე. ისიც უნდა ითქვას, რომ „აიაქსთან“ კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება.

— მთავარ მწვრთნელ კო ადრიანეს უეჭველად დაელაპარაკებოდი...

— რა თქმა უნდა, მას ძალიან უნდა, რომ კარგა „აიაქსში“ გავაგრძელო.

— ამაზე ალბათ ისიც მიუთითებს, რომ 14-ნომრიანი მაისურა გერგო, რომლითაც ერთ დროს იოჰან კრუიფი

თამაშობდა, თანაც ბოლო რამდენიმე სეზონი არც ერთ აიაქსელს არ სცმია ეს მაისურა...

— ხომ ძნელია არგენტინის ეროვნულ ნაკრებში 10-ნომრიანი მაისურის ტარება, ასევე ძნელი იქნება „აიაქსში“ 14 ნომრიანით თამაში. 10 და 14 მძიმე ნომრები...

— „აიაქსში“ დარჩენა ალბათ იმიტომაც გზიბლავს, რომ არცთუ ცუდი შანსია, ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკო, თუმც საამიოსოდ გლაზგოს „სელტიკის“ დამარცხება მოგიწევთ.

— ჩემპიონთა ლიგაში თამაში „აიაქსის“ მთავარი მიზანია ამ სეზონში. შოტლანდიელებთან ძალიან მძიმე ბრძოლა გველის, „სელტიკი“ კარგი გუნდია.

— მანამდე კი „მილანი“...

— ასეა. ამსტერდამში ოთხთა ტურნირი იწყება, პირველი მატჩი კახა კალაძის „მილანთან“ გვაქვს, მერე „ვალენსიასთან“ და „ლივერპულთან“.

დავით თავართქილაძე



შოთა არველაძე

## დინამო ლუქსემბურგთან გასწორდა

წუხელ, შუალამისას დაბრუნდა შინ გერმანიაში შეკრებამოვლილი დინამოს „დინამო“. გვი ნოდია გუნდმა წამოსვლის წინა დღეს მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა. „დინამო“ ხელმეორედ ჩავიდა ბიტბურგიდან ლუქსემბურგში და იქაურ ჩემპიონ „დედელანეს“ გაეჯიბრა. რამდენიმე დღის წინ ჩვენებურები მეორეადგილოსან „გრევენმანერთან“ 1:2 დამარცხდნენ, მეორე ლუქსემბურგული ვიიაჟი კი წარმატებული გამოდგა. დინამოელებმა მეორე ტაიმში რამაზ სვანაძისა და ალექო ამისულაშვილის გოლებით გაიმარჯვეს 2:0.

მამ ასე „დინამოში“ ბიტბურგული შეკრებისას 6 საკონტროლო მატჩი ჩაატარა, ოთხი წააგო, ორი მოიგო (მათგან ერთი მოყვარულთა გუნდთან), 7 გოლი გაიტანა და 11 გაუშვა.

დავით თავართქილაძე

## მსაჯთა მსაჯებსან გასწორდა


სამართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება ქართველმა მსაჯებმა ფაქტობრივად დაასრულეს. მათ ტესტირებაც გაიარეს და თეორიაშიც ჩააბარეს გამოცდები. ახლა მსაჯთა მსაჯების — დელეგატების ჯერაც დადგა. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დელეგატთა გამოცდები ჩატარდა. მათ ცოდნას უფას მიერ გამოგზავნილი ვიდეომასალით ამოწმებდნენ, მერე კი თეორიაშიც გამოცდადეს — დელეგატებს 36 შეკითხვაზე 30 წუთში უნდა გაეცათ პასუხი.

გამოცდის შედეგებს შეაჯამებს საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ანატოლი მილჩენკო, ვია ფირცხალავა და ზურაბ პეტრიაშვილი. წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მსაჯების მსგავსად, დელეგატებსაც მიეცემათ უფლება, მოემსახურონ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს.

ბასა ზალაზგარიძე

**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**  
**ფეხბურთი, NHL, NBA**  
 ☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (160 / 50 თათრი)

# რესტორანი მზიანი ღამე



განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

- \* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
- \* ვსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**  
**(ყოფილი სირკის სასტუმროს პირველი სართული)**  
**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

მობრძანდით, გვინდეთ: კმაყოფილი დარჩებით





# REAL MADRID BARCELONA



ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანო

## ზინედინ ზიდანო სამარანისთვის ითამაშებს ქარდელი საიოლა ლოპეზა დაიძაბა



ხავერდ საიოლას ხუან გასპარი მამაშვილურად შეხვდა

**მსაჯანის** და საზაფხულო სატრენინგო ბაზრის ჩემპიონმა მადრიდის „რეალმა“ ახალი სეზონისთვის მზადება შეეცარია, ქალაქ ნიონში დაიწყო. ამ ამბავმა ნიონელები, ბუნებრივად, აღაფრთოვანა და ისინი „სამეფო კლუბის“ ვარსკვლავებს, მეტადრე კი ზინედინ ზიდანს დიდი ოცვიებით დახვდნენ.

პირველ ვარჯიშს დატვირთულს ვერ უწოდებდით, მწვრთნელები, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდან მოთამაშებს ძირითადად კუნთების გაყვარების და გახურების სიხშირეს. შემდეგ ვისეზე დელ ბოსკემ ისინი დააწყო და წყვილები სპრინტში გააჯობა. ვარჯიშმა 50 წუთს გასტანა და სიცხლ-ხარხალის აკომპანიმენტით მიმდინარეობდა.

ვარჯიშის შემდეგ „რეალი“ სასტუმროში დაბრუნდა. ამასობაში კი მადრიდელთა და შეეცარიული „ლოპეზას“ ამხანაგურ შეხვედრაზე დასასწაველი ჯილდო, რის გამოც კონტინენტზე მას „საუკუნის კლუბი“ შეარქვეს. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ „საუკუნის კლუბის“ ერთ-ერთი მფლობელის, იბრაჰიმ ალ მუალემის თქმით, ამ თამაშის შემდეგ, მასში მონაწილეობისთვის მადრიდელები დიდ ჰონორარს — 15 მილიონ დოლარს მიიღებენ.

ქაიროში მადრიდელებს სპეციალური თვითმფრინავით ჩაიყვანენ. მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი კი ასეთია: უმცირესი — 625 დოლარი, უდიდესი — 4 დოლარამდე.

ხოლო სანამ „რეალი“ ნიონში ხურდება და სამარანსა და გვიგბურ პონორარზე ფიქრობს, არგენტინელი ფეხბურთელი, ხავერდ საიოლა, რომელიც მადრიდელთა მთავარი მოქიშპის, „ბარსელონას“ წევრი გახდა, თავს ბედნიერად აღიქვამს თვლის — კატალონიის „კურდელის“ (საიოლას მეტსახელია) ჩინებული დახვედრა მოუწყვეს.

როგორც თავად ამბობს, გასახდელში პირველად შესული ლამის შოკში ჩავარდა, რადგან ფეხბურთელები ძველი ნაცნობებით გადაეხვივნენ. განსაკუთრებით სასიამოვნო შეხვედრა თავდასხმაში კოლეგასთან, პოლანდიელ პატრიკ კლუივერტთან ჰქონია. ამასთან, საიოლა გაოცებულია „ბარსას“ უცხოელ ფეხბურთელთა პოლიგლოტობით.

„მეგონა, „ვერსაისისა“ და „ვალენტიანოს“ პიჯაკებში გამოპრანჭულ მილიონერებს ვნახავდი. იქ კი შორტებიანი და ლალი ქვევის ადამიანები დამხვდნენ. მწამს, უდიდეს კლუბში მოვხვდი, რომელსაც ძალიან დიდი გამარჯვებების მოპოვება შეუძლია. ჩემი მხრივ, „ბარსელონას“ იმედების გასამართლებლად ყველა ღონეს ვიხმარ“ — განაცხადა საიოლამ, რომელიც, როგორც წინასწარი აღიქვამს, კატალონიური კულტურის და ენის შესწავლით დაინტერესდა.

ვარჯიშში „ბარსელონამაც“ იმ დღე დაიწყო, როდესაც „რეალმა“ — სამშაბათს. ვარჯიშში ღია იყო და მას უამრავი გულშემატკივარი დაესწრო. ძალიან სახალისო გამოდგა ოცი ფეხბურთელის ორ გუნდად გაყოფა და თამაში. „კურდელი“ საიოლა და კლუივერტი ერთ გუნდში მოხვდნენ. საიოლამ ერთხელ თავად გაიტანა, მეორედ კი კლუივერტს გაატანა.

შემდეგ, გამართა შეხვედრა გულშემატკივრებთან, რომელზეც გუნდის უფრო სწორედ კი კლუბის მხრიდან სიტყვებით გამოვიდნენ ახალი კაპიტანი სერხი ბარხუანი და პრეზიდენტი ხუან გასპარი. ითქვა ქომაგების უდიდეს როლზე და იმაზე, რომ „ბარსელონას“ „რეალზე“ გაცილებით ძლიერია.

ბოლოს ფეხბურთელებმა დაწვრილებით უპასუხეს გულშემატკივართა კითხვებს.

გაბუნა კვიციანი

## ბარტეზი თავდასხმაში ფერბიუსონის ახალი მიზნება

### ამხანაგური მატჩი

სინაზური 18 მანქანის იუნაიტედი  
01 სოლსკიანი (30), 11 ინდრა სადანი (38), 12 ფიგო (41), 13 სოლსკიანი (45), 14 ბექეტი (50), 15, 16 იორკო (65, 69), 17 ვან ნისტელროი (70), 18 გიგზი (87)

**ბრემდეზა** „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმოსავლური ტურნე. საშრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტადიონებზე „მანჩესტერი“ შოუს კანონების სრული დაცვით ირგება. აი, გუმწიწი ნაც 8:1 მოუგო სინგაპურის ნაკრებს კალანგის სტადიონზე.

ამ თამაშში ღირსშესანიშნავი და გასართობი ის იყო, რომ როცა ანგარიში 7:1 გახდა, ფაბიენ ბარტეზი შეეცვლა თავდასხმაში ითამაშა, რითაც დიდი ხნის ოცნება აისრულა. თავიდან ბარტეზი ღვედ ბექემის მაისურას ითხოვდა, მაგრამ ბოლოს მე-14 ნომრის მორგებას დასჯერდა. რახან ბექემი უკვე შეცვლილი იყო, მსაჯმა კვლავ მეშვიდე ნომრის მოედანზე გასვლა არ დაუშვა, თორემ ღვედმა კი გადაუვლო საკუთარი მაისურა მეკარეს. ბარტეზმა რვა წუთი ითამაშა და თუმცა გოლი ვერ გაიტანა, სინგაპურის პირობაზე გვარიანად გაისარჯა.

თამაშის შემდეგ მენეჯერმა ალექს ფერგუსონმა იხუმრა, შემკამა, სანამ წინ თამაშის პირობა არ გამოთხოვია, სხვაფერე კი ამგვარი სილალის ცქერა ჩემი ხნის კაცს აახალგაზრდავებს.

„მანჩესტერმა“ 8:1 კი მოიგო, მაგრამ ანგარიშის გახსნას ნახევარი საათი მოანდობა. ოლე გუნარ სოლსკიანის პირველ გოლს სრულიად მოულოდნელად სინგაპურელი ინდრა საჰმანის საპასუხო მოჰყვა. მერე ფილ ნევილმა შეაგლო რეკონსტრუქციით, მეორე ტაიმის დასაწყისში კვლავ სოლსკიანმა გაიტანა. ამას ბექემის საჯარიმო დარტყმა და დუაიტ იორკის დუბლი მოჰყვა. რუდ ვან ნისტელროიმ, უქმად ყოფნა არ დამარალონო და მეშვიდე გაიტანა, წერტილი კი რაიან გიგზმა შეხვედრის ბოლო წუთზე დასვა.

ინგალი გამყრელიძე



ფაბიენ ბარტეზი (მარჯვნივ) თავი თავდასხმაშიც არ შეირცხვინა

**რეკლამა**  
**სარბიელ-ში**  
Tel: 39 40 08,  
93 16 08;  
Fax: 94 33 80



„იუვენტუსს“ პირველ სეკონტროლო მატჩში გამარჯვება ირ გასჭირვებია

## ნედვედისგან ზიდანოზე მოითხოვს

**ახალი** სეზონისთვის მზადება ტურინის „იუვენტუსმა“ დაიწყო. მარჩელო ლიბის გუნდმა საკონტროლო მატჩი ჩაატარა სამოყვარულო „ვალე დაკოსტანთან“ და 8:0 დაამარცხა მეტოქე. პროვინციული ქალაქის სტადიონი პირთამდე გაივსო. „ბებერი ქალბატონის“ ვარსკვლავების ზილვა ყველას სურდა, ცხადია, რომ მთელი თამაში ცალკარა გამოდგა. მთავარი მოქმედი პირი კი ტურინელთა ჩემი ახალწვეული პაველ ნედვედი შეიქნა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და მაყურებელთა ყველაზე მეტი სიმპათია და ტაში დაიმსახურა.

პირველ ტაიმში მარჩელო ლიბიმ შეუცვლელად ათამაშა ის II ფეხბურთელი, რომლებიც ახალ სეზონში, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. აი, ისინიც: ბუფონი, ტუდორი, იულიანო, ტურამი, პესოტო, მამბროტა, ტაკინარდი, ონილი, ნედვედი, დელ პიერო და ტრეზეგე.

მეორე ტაიმში „იუვენტუსის“ შემადგენლობა ასეთი იყო: კარინი, პარამატი, ფერარა, ტურამი (პიკულო), ატრისონი, ძენონი, მარესკა, ონილი (ვიტორე), ნედვედი (პერიკარდი), კოვანჩიკი, ამბროზო.

პაველ ნედვედმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „წლეულს „იუვენტუსს“ დიდი მიზნები აქვს, გუნდშიც ჩინებული განწყობაა. ცალკე უნდა ვთქვათ გულშემატკივრებზეც. არ მეგონა, თუ გუნდს ასეთი გულთბილი მხარდაჭერა ჰქონდა. ვერ სეზონი არ დაწყებულა და ეს უკვე საგონიბია.“

„იუვენტუსის“ ერთ-ერთმა თავკაცმა ვიტორიო კიუსანომ, რომელიც საკონტროლო მატჩის რიბერტო ბეტგეასთან ერთად დაესწრო, განაცხადა, ნედვედი „იუვენტუსის“ ახალი ლიდერი მალე უნდა გახდეს. ამის პასუხად ყოფილმა ლაციოელმა თქვა: „ჩემზე რომ ამას ფიქრობენ, უდიდესი პატივია. შევეცდები, ამ გზას არ გადავუხვიო. ქომაგების გულში ახლა ზიდანის ადგილი უნდა დაიკავო, რაც ილიი ნამდვილად არ არის.“

ნიკა ფუბლაკი











მასხაზ ურჯუკაშვილი




მასხაზ ურჯუკაშვილი

უბრალოდ მასო

მას ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ფანტასტიკური, „ოლი ბლე-ქისი“ ტოლფასი ვარსკვლავი უწოდა... 20 წლის მასხაზ ურჯუკაშვილი სასწაულებს სწავლიდა მოედანზე...

მასხაზ ურჯუკაშვილი დღეს „უნივერსიტეტის“ რიგებში ირიცხება

და დღე-დღეზე საფრანგეთში წავა სათამაშოდ. მანამდე მასომ ერთი დიდი საქმის გაყვება მოასწრო: დედუღეთში, სოფელ პატარძეულში, რაგბის სკოლა-კლუბი „გეფ-ხეები“ დააარსა და ყველანაირად ცდილობს, ბავშვებს ისეთი ბირობები შეუქმნას, კარგი მორაგბეები დადგნენ. რაც მე დამაკლდა, ამ ბავშვებს უნდა ავუნანლაუროთ, ამბობს ურჯუკაშვილი...



მასო და მისი საცოლელი ნინო

მასის ნება რომ დაბრტყოს, შეიძლება ნაკრების ტურნირები იწყებოდა. იქ ასე ას-ორას დოლარს გვინდოდნენ, კვება უფასო გვქონდა, მეც კაპიტანს კაპიტანზე ვაწუბებდი და ასე გამოვხდა თავი...

საფრანგეთში ადრეც თამაშობდი, იქ ხომ არ გქონია დისკვალიფიკაცია? — არა, საფრანგეთში მსგავსი რამ არ ჩამიდენია.

შენი ბირველი ფრანგული კლუბი „ტულუზი“ იყო, მაგრამ იქიდან მალევე წახვედი. — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი. მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, თან ძალიან ცუდი პირობები შემიქნეს...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი. მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, თან ძალიან ცუდი პირობები შემიქნეს...

ლღებულებებს ვეღარ გვისრულებდნენ. რაც მეკუთვნოდა, სანახევროდ თუ ამინახლაურეს. შენ რომ მოგვკეთ, მერე ადვილობრივები ავგებუნებდითანო, მიოხრეს. თან გუნდშიც არააყანსალი სიტუაცია იყო...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი. მაშინ თვრამეტი წლის ვიყავი, თან ძალიან ცუდი პირობები შემიქნეს...

შენი ბირველი ფრანგული კლუბი „ტულუზი“ იყო, მაგრამ იქიდან მალევე წახვედი. — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

თან ასეთი პრინციპული და დაბაბული ჯანია. სორელმა მითხრა, საჯარიმოებს შენ დაარტყამო. პირველ ჯარიმასზე ძალიან ვინერვიულე, ვლოცულობდი, რომ არ ამეცილებინა...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

შენი ბირველი ფრანგული კლუბი „ტულუზი“ იყო, მაგრამ იქიდან მალევე წახვედი. — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

ოსტატდნენ, გამოცდილება მოვიდა და ამან შედეგი მოიტანა. ისე, ძალიან მწყდება გული, ქართული ფეხბურთი რომ კრიზისშია...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

შენი ბირველი ფრანგული კლუბი „ტულუზი“ იყო, მაგრამ იქიდან მალევე წახვედი. — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...

საფრანგეთში რა გრძობდით? — კი, „ტულუზი“ მაგარი კლუბია, მაგრამ მე მეორე გუნდში ვთამაშობდი...



2001 წლის 17 თებერვალი. საქართველო — პორტუგალია. მასხაზ ურჯუკაშვილიმ შეტევა დაიწყო

მასხაზ ურჯუკაშვილი

მასხაზ ურჯუკაშვილი

მასხაზ ურჯუკაშვილი

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები**

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	სავაჭრო ცენტრი
<b>თბილისი</b>	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	ნერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
<b>ქუთაისი</b>	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა № 27	
<b>გორი</b>	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
<b>თელავი</b>	კოსტავას ქუჩა №23	
<b>რუსთავი</b>	შარტავას ქუჩა №7	
<b>ბათუმი</b>	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ფიროსმანის ქუჩა № 7 <sup>ა</sup>	
<b>ქობულეთი</b>	ალმაშენებლის ქუჩა №106	
<b>მარნეული</b>	რუსთაველის ქუჩა №39	
<b>ოზურგეთი</b>	გურიის ქუჩა №23	

**ბათამაშაუბის წესები**

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყვანოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოცემის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყვანოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეულ შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (შეათვისებინ სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმონდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:
- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
  - 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდებულ ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
  - 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
  - 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
  - 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
  - 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შემდეგ ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი ფსონების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის

რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან. ქვიტარი უნდა შეიცვოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან ნითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტორების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდეებს იმ ქვიტორებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.







# კუბური გდება

დღეს მიუნხენში ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ტრადიციული „თვის ფოტო“, ამ გვერდზე რომ ქვეყნდება ხოლმე, ალბათ სწორედ მიუნხენიდან იქნება. წინა თვისა კი პავანიდან მოვიდა: 60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ორი კუბელი ერთმანეთს ერგებოდა და მანოლი პულოტი ღამაში ვღებოთ ამარცხებს მარგინ მორეხონს, რითაც ქვეყნის ჩემპიონობისკენ იკაფავს გზას.




REUTERS ფოტოკამერადან

# დგაფუნი ფუკუოკაუი

იპარონის ქალაქ ფუკუოკას აუზებში გრძელდება მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. დიდი ურიაშული ახლავს წყალბურთის შეჯიბრს. ბრაზილიელები და გერმანელები წყალბურთის განთქმულებს არ ვანეკუთვნიან, მაგრამ დახუთ, რა დგაფუნია კარის წინ: ბრაზილიელთა მეკარე ანდრე კორდერუ თავით იგერიებს ბურთს, გერმანელი ტობიას კრთიცმანი (№9) კი ცდილობს რაიმე გაახერხოს.

# ლეიკერსი კლიერდგა

ენბიუის ზედიზედ ორგზის ჩემპიონის, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ბაზაზე, ელ სეგუნდოში ახალი კაცი გამოჩნდა. ეს ახალი კაცი ყოფილი თავისუფალი აგენტი მიჩ რიჩმონდია, ვისაც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა მიჩ კუპჩაკმა უკვე გადასცა საკლუბო სამოსი და ნომერი. რიჩმონდი 26-ე კაცია ენბიუის ისტორიაში, ქულათა ოციათასიან ზღვარს რომ უნია.




# სიჩუანელი გობოგო

შოტლანდურმა საუნივერსიტეტო თამაშების გახსნა სიჩუანის პროვინციის ქალაქ შონგჟინგში ერთგვარ რეპეტიციასაც კი ჩამოტყავს: ჩინეთის დედაქალაქმა ხომ უკვე მოიპოვა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა. უნივერსიადის ჩინადლდანი ახლა რომ სიჩუანშია ჩამოტანილი, თამაშების დახურვის შემდეგ თავის შესანახ ადგილს, ბეკინის მუშათა სტადიონს დაუბრუნდება.



REUTERS ფოტოკამერადან



REUTERS ფოტოკამერადან

# უკვე ჩამპიონი

ამ, მს მოხდენილი უნგრელი გოგონა უკვე მსოფლიოს ჩემპიონია. აგნეს კოვანჩა თავის ოლიმპიურ თქროს მსოფლიოს ჩემპიონის მედალიც დაუმატა. მისი საყვარელი სტილით, ბრასით ცურვაში აგნესს კვლავ არა ჰყავს ბადალი. ორასი მეტრის გაცურვას მან 2 წუთი და 24,90 წამი მოახდომა.

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საგაბათს,  
ოთხგაბათს, ხუთგაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შონგვირიანი  
დირექტორი ბიორგი ოძროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიალი  
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილი-სტები მია აბზინიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალი-შვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტა-შვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბე-ლაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრის-ტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენ-გის ფოფხაძე, ნინო ყუფუნია  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საზოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarbieli.com.ge